# ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

## 2011/2012სასწავლო წელი

**ფაკულტეტი** პედაგოგიური

**კათედრა** პედაგოგიკა–მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სალექციო კურსის (საგნის) დასახელება და მისი კოდი** – P.2.F.01

ზოგადი ფსიქოლოგია

**სალექციო კურსის სტატუსი**: სავალდებულო

**კრედიტების რაოდენობა**: 5

**საკონტაქტო საათები:** ორშაბათი, სამშაბათი 14სთ-დან 15სთ-მდე.

**ლექტორი**: ასოც. პროფესორი: ნინო ბასილაშვილი ტელ: 558-48-44-22

**ასისტენტი:** ასისტენტ-პროფესორი: ი. ჩაქიაშვილი

**სალექციო კურსის აღწერა:** „ ზოგადი ფსიქოლოგია" წარმოადგენს სავალდებულო სალექციო კურსს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის. ესაა სალექციო კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლობენ ზოგად ფსიქოლოგიას და პარალელურად მუშაობენ ტესტებზე. სალექციო კურსის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი, კვირაში ორი საუდიტორიო შეხვედრა (ლექცია-სემინარი). ე.ი. სულ 125 საათი. აქედან, 30 სთ სტუდენტებისა და ლექტორის საკონტაქტო საათებია, ( კვირაში 1 ლექცია, 1 სემინარი) ხოლო დანარჩენი 95 სთ – სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის წილია. ninojashiashvili@mail.ru

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** სალექციო კურსის მიზანია, გაიგონ სტუდენტებმა რა არის ფსიქიკა, ფსიქიკური პროცესები, როგორ ხდება მისი აღმოცენება, როგორ ახერხებენ ფსიქოლოგები ადამიანის ფსიქიკურ სამყაროში შეღწევას? რომელი ასაკია მიზანშეწონილი ამა თუ იმ სახის ფსიქიკური პროცესის განვითარებისათვის? როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პიროვნებაში ნებისმიერი აქტიური ფსიქიკური პროცესები? რა გზები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შევისწავლოთ ადამიანი? როგორ უნდა ვმართოთ ჩვენი გრძნობები (ემოციები). სტუდენტებს უნდა ვასწავლოთ შემეცნებითი პროცესები, როგორ უნდა განვავითაროთ მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და საერთოდ, როგორ უნდა ჩავწვდეთ ადამიანის

სულიერ ცხოვრებას, მის ფსიქიკას, ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელზედაც პასუხს გვაძლევს ფსიქოლოგია.

**პრერეკვიზიტი:** არა აქვს.

**სალექციო კურსის შედეგი:** ფსიქოლოგიის საფუძვლების შესწავლის შედეგია შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების გაცნობა. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ამ სალექციო კურსის გავლის შემდეგ, ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმ ფსიქიკურ პროცესებზე, რომელთა მატარებელია თითოეული ადამიანი, კერძოდ აღქმაზე, შეგრძნებებზე, მეხსიერებაზე, ყურადღებაზე, აზროვნებაზე, ნებისყოფაზე, გრძნობებზე.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | მაგისტრანტი ფლობს გარკვეულ ცოდნას ფსიქოლოგიის სფეროში | ფლობს საფუძვლიან ცოდნას იმ ფსიქიკურ პროცესებზე, რომელთა მატარებელია თითოეული ადამიანი, კერძოდ აღქმაზე, შეგრძნებებზე, მეხ-სიერებაზე, ყურადღებაზე, აზროვ-ნებაზე, ნებისყოფაზე, გრძნობებზე. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია პიროვნებაზე დაკვირვებით შექმნას მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. ასევე შესწავს უნარი მოახდინოს ფსიქოლოგიური დაკვირვების შედეგთა მეთოდო-ლოგიური დახასიათება და მათი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ამოცანებზე მორგება. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნი-კაცია; |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზისა და სინთეზის უნარი | შეუძლია ფსიქოლოგიის სფეროში სამეცნიერო სიახლეების მოძიება, შესწევს ამ სფეროს უწყვეტი გან-ვითარების დაგეგმვისა და განხორ-ციელების უნარი |
| დასკვნის უნარი | შეეძლებათ დაკვირვებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა | შეეძლებათ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, განზოგადება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა |
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად | გაცნობიერებული აქვს ზოგადი ფსიქოლოგიის ეთიკური ასპექტები. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**მოთხოვნები:** სტუდენტთა დასწრება სავალდებულოა როგორც ლექციებზე, ასევე სემინარებზე. თუ სტუდენტი ხელს შეუშლის ლექციის ან სემინარის მსვლელობას, ის გათავისუფლდება ლექციიდან ან სემინარიდან, მათ აგრეთვე ეკრძალებათ მობილური ტელეფონით სარგებლობა ლექცია-სემინარების მიმდინარეობის პროცესში. მთელი სემესტრის მანძილზე თუ სტუდენტი არ ივლის ლექცია-სემინარებზე და არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ ტესტირებაზე, იგი ავტომატურად შეფასდება 0 ქულით.

**სალექციო კურსის სტრუქტურა:**

**I კვირა**

ფსიქოლოგიის საფუძვლები: საგანი, მიზანი, ამოცანები, მეთოდები, დარგები, ეტაპები. უმაღლესი ნერვული მოქმედების საფუძვლები. ადამიანის ფსიქიკის ზოგადი დახასიათება.

**ძირითადი ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 19-44

**II კვირა**

შეგრძნებათა პრობლემები თანამედროვე ფსიქოლოგიაში. შეგრძნებათა ცალკე მოდალობები და მათი ურთიერთკავშირი.

**ძირითადი ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 251-284

**III – IV კვირა**

აღქმის ძირითადი თვისებები. აღქმის ილუზიები, სივრცისა და დროის აღქმა. დაკვირვება. აღქმის ონტოგენეტური განვითარება.

შუალედური წერა

**ძირითადი ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 291-330

V – VI კვირა

ყურადღების ფსიქოლოგია.

ყურადღების ზოგადი დახასიათება. ყურადღების ძირითადი თვისებები. ყურადღების ძირითადი სახეები ანუ ფორმები, ყურადღების ტიპები, ყურადღების ტიპები, ყურადღების ფაქტორები, ყურადღების პათოლოგიური დარღვევები.

**ძირითადი ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 520-560

VII – VIII კვირა

მნემური პროცესების ფსიქოლოგია.

მეხსიერების ცნება, მეხსიერების სახეები ანუ ფორმები, ეიდეტური ხატი, პერსევერაცია, ცნობა, აქტიური მეხსიერების სახეები, დასწავლის ფაქტორები, დასწავლის წესები და კანონზომიერებები, დავიწყება, მეხსიერების პათოლოგია.

შუალედური წერა

**ძირითადი ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 334-403

IX – X კვირა

აზროვნების ფსიქოლოგია

აზროვნების ზოგადი დახასიათება. აღქმა და აზროვნება. რაქტიკული აზროვნება, ხატოვანი აზროვნება. ცნებითი აზროვნების გამოვლინებები (ცნება, მსჯელობა, დასკვნა). აზროვნების ძირითადი ოპერაციები. აზროვნების განვითარება ონტოგენეზში.

**ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 433-519

XI – XII კვირა

ემოციურ განცდათა ფსიქოლოგია.

გრძნობები. გრძნობის ცნება. გრძნობის ძირითადი თვისებები. გრძნობათა კლასიფიკაცია. ემოციურ განცდათა რომელობითი დახასიათება. ემოციური განცდები. ემოცია და მისი

კლასიფიკაციის ცდები. ემოციათა განცდის გრადუალური დახასიათება. ემოციათა სახეები. ემოციური განცდა და სხეული.

შუალედური წერა

**ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 117-155

**XIII – XIV კვირა**

ქცევის ფსიქოლოგია (ნებისყოფა) – იმპულსური ქცევა. შრომა და მოთხოვნილება. შრომა და ნებელობა. ნებისმიერი მოქმედების ცნება და მისი ზოგადი დახასიათება. ნებისმიერი მოქმედების ცნება და მისი ზოგადი დახასიათება. ნებისმიერი მოქმედების პერიოდები. ნებელობის აქტის შესრულება. გადაწყვეტილების აქტი – ნებელობის სიმტკიცის საკითხი. მოტივაცია – ნებელობის აქტის წინაპერიოდი. ნებელობის პათოლოგია.

**ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 163-218

**XV კვირა**

განწყობის ფსიქოლოგია. მიზანშეწონილობის პრობლემა. ფიქსირებული განწყობა. განწყობის დიფერენციალური ფსიქოლოგია.

**ლიტერატურა:**

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია* III, IV ტომი, II გამოცემა, თბილისი, „აღმაშენებელი" (1998) გვ. 79-115

**სტუდენტის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები, და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1)შუალედური წერა მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);ჩატარდება მერვე და მე-12 კვირის ბოლოს.

2) ზეპირი გამოკითხვა მაქსიმუმ 20 ქულა (4 X 5 ქულა) ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი რვა კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე შვიდი კვირის განმავლობაში.
3) ზეპირი პრეზენტაცია მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:
თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა
დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა
ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა
დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

II. დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა – 40 ქულა

შენიშვნა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

კრედიტი ენიჭება სტუდენტს 51 ქულაზე. გამოცდის ხანგრძლივობაა 2 საათი.

თითოეული მოთხოვნის შესრულების დროსთან დაკავშირებით სტუდენტი წინასწარ გაფრთხილდება.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება დადებითი შეფასებები:

(ფრიადი) –91 ქულა და მეტი
(ძალიან კარგი) –81-90 ქულა
(კარგი) –71-80 ქულა
(დამაკმაყოფილებელი) –61-70 ქულა
(საკმარისი) –51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: X (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება –41-50 ქულა
F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.

ლიტერატურა:

უზნაძე, დ. (1998) *ზოგადი ფსიქოლოგია*. თბილისი. გამომცემლობა “აღმაშენებელი.“